1021/3-87/22 2 08022022

1021/3-87/22
08-02-2022

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს**

**ბატონ ზურაბ აზარაშვილს**

ბატონო ზურაბ,

გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

2017 წლის შემდეგ სამინისტროს არ გამოუქვეყნებია ჯანდაცვის ეროვნული ანგარიში. ბოლო დოკუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომია, ეს არის ჯანდაცვის ეროვნული ანგარიში 2012-2017. მოგეხსენებათ, რომ ჯანდაცვის ეროვნული ანგარიში განსაზღვრავს ჯანდაცვის სისტემაში ფინანსური ნაკადების მოძრაობას და ქვეყანაში რა წყაროებიდან ხდება თანხების მობილიზება, სად ხდება მათი აკუმულირება, ვინ განკარგავს აკუმულირებულ თანხებს, რა თანხები იხარჯება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებზე, როგორ ხდება ფინანსური სახსრების განაწილება მომსახურების სახეების მიხედვით, მოსახლეობის რომელი ჯგუფები იღებს სარგებელს ჯანდაცვაზე დანახარჯების შედეგად.

ასევე, არ არის წარმოდგენილი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების ანგარიში, რაც უკიდურესად საჭიროა მტკიცებულებებს დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების პროცესისთვის.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის დადგენილება №32 („საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების წარმოების წესის“, „საქართველოში ჯანმრთელობის ანგარიშის სისტემის წარმოების წესისა“ და „საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების მომზადების წესის“ დამტკიცების თაობაზე) ავალდებულებს სამინისტროს, რომ უზრუნველყოს ჯანმრთელობის ანგარიშის სისტემის მომზადება ყოველწლიურად, საანგარიშო წლის მომდევნო მეორე წლის 31 იანვრამდე, ხოლო

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების ანგარიში წარმოადგინოს სამ წელიწადში ერთხელ, საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის 31 დეკემბრამდე.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია რა მიზეზით არ არის წარმოდგენილი ზემოთაღნიშნული ანგარიშები და რატომ ირღვევა მთავრობის დადგენილება, ან თუ საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი (რაც ასევე დარღვევაა), გამომიგზავნოთ ანგარიშების ბოლო, განახლებული ვერსიები.

გთხოვთ, ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ხათუნა სამნიძე